

1
1948

№ 21. 1948 წ.
ბაგოცემის წელი XXV
ფასი 2 მან.

ნიანზი

თბილისი
ბაგოცემის
„კომუნისტი“




7/41 5 8
246

ნახ. შ. ცხადაძისა

იმათი ზიქაები

— სულ ბუუილი უოვილა რომ ამბობენ: ადამიანი ოცდასუთ წლამდე იზრდებაო, აგერ ოცდათერთმეტი წლის გახდა და მაინც გიგანტურად განაგრძობს ზრდას!

Обязательный экземпляр



— ამ ჩვენმა მემანქანემ პირდაპირ გამაწვალა: ელექტროენერგიას ზოგავს და ჩემს ენერგიას კი—არა.
— როგორ? ხშირად იგვიანებს?
— პირიქით, ყოველ სადღესასწაულოდ აღებულ ვალდებულებას ვადაზე ადრე ასრულებს და გრაფიკს მირღვევს!

ოცდამეთერთმეტე

სიმღერებში მოგუგუნებს
ჩვენი ხალხის სიხარული
და ოქტომბრის მობრძანებას
კვლავ მზით სავსე ხედება გული:
მზით სავსეა ჩვენი ყოფა,
საფარლოა ჩვენი დარი,
მატიანე მძლე მარჯვენით
კიდევ სწერს ოქროს თარიღს,—
ოცდამეთერთმეტე თარიღს,
სხივოსანი გამარჯვების
და დროშების შუქში მოჩანს
კომუნისმის დიდი გზები.
სალამი შენ, ლხინის დღეო,
ყველა დროთა ალამდარო,
ქარიშხალში ნაშობო და
დიდ შენების წინამძღვარო!
სხივოსანო დროშის კალთავ,
იზრიალე ასე მძლავრად,
იგუგუნეთ სიმღერებო,
დიდ ოქტომბრის თანამგზავრად!
იგუგუნეთ, რომ თქვენს ხმებში
ჩაიარონ ტალღის რხევად
იმ დღეებმა, რაც ჩვენ განვვლეთ
ამ მწვერვალის მისაღწევად!

ვილას ახსოვს დამპყრობელთა
მოსეული მგლური ხროვა,

ვინ დასთვალოს, ვისაც ჩვენგან
შეხვედრია ბედის გლოვა!
ვინ ვრანგელი, ვინ ვილქელმი,
ვინ პიტლერი, ვინ ჩერჩილი,—
(თუმც ამ ბებრეკს კიდევ ვხედავთ:
კვლავ ღრენს—სახედალრეჯილი!)
ისტორიის განაჩენი
აღუესრულეთ ყველა მათგანს
და ოქტომბრით აწმენებულ
ჩვენს ქუჩაზე დარი დადგა!
დარი დადგა! ვინ დაჩრდილოს
ჩვენი მზე და ჩვენი მთვარე,
დევემირულად იზრდება და
იფურჩქნება ჩვენი მხარე!

სალამი შენ, ლხინის დღეო,
ყველა დროთა ალამდარო,
დიდ ბრძოლების, დიდ შენების,
დიდ ტრიუმფთა წინამძღვარო,
დიდ სტალინის დროშის კალთავ,
იზრიალე ასე მძლავრად,
იგუგუნეთ სიმღერებო,
დიდ ოქტომბრის თანამგზავრად,
იგუგუნეთ, რომ თქვენს ხმებში
ჩაიარონ ტალღის რხევად
იმ დღეებმა, რაც ჩვენ განვვლეთ
გამარჯვების მისაღწევად!

ზარსადანი

მონაქალის სამუშაოები

გამომსახურებელი მათამორფოზა

ბიზნისში უმუშევრები მრავლდებიან. სა-
მუშაოს მძებნელები ათასგვარ ეშმაკობასა და
ხერხს მიმართავენ ქარხანაში, ან მაღაროში
ჯოჯოხეთურად აუტანელ სამუშაოზე მოსახვედ-
რად.

ამ დარგში ზოგიერთი პირდაპირ საზღაპრო
გამომსახურებლობას იჩენს.

ამას წინათ ერთმა ქალიშვილმა მამაკაცის
ტანსაცმელი გადაიცვა და შეძლებისდაგვარად
ქალის ყველა გარეგნული ნიშნის დაფარვა მოა-
ხერხა, რის შემდეგაც რურის შახტებში მოეწყო
მემაღაროეთ.

საქმიან კომისიამ შემოწმებისას ქალიშვი-
ლის გულუბრყვილო ეშმაკობა გამოამჟღავნა და
იგი სამუშაოდან მოხსნეს.

ქალიშვილს სამუშაოდან გაგდებაც არ აკმა-
რეს და აღმინისტრაციის მოტყუებისთვის საში
თვის ციხე მიუსაჯეს.

ასე ძვირად დაუჯდა უმუშევარ გოგონას არა-
ბუნებრივი „მეტამორფოზა“.

ფილმების საცოლო

„თავისუფალ ამერიკაში“ ცოლის შერთვაც
თავისუფლად ხდება და იგი მხოლოდ ქალ-ვაჟის
ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

მაგრამ ეს მხოლოდ პროპაგანდისტობაა გა-
მოვლილი. ნამდვილად კი ამერიკელ ახალგაზრ-
დებს ოჯახის შექმნისას წინ ეღობებათ ქონებ-
რივი, მდგომარეობრივი, პოლიტიკური და ათასი
სხვა დაბრკოლებები.

ამერიკის სამხედრო ფლოტის უნტერ-ოფი-
ცერს რობერტ ბრაუნს თავისმა უფროსებმა ნე-
ბა არ დართეს ცოლად შერთო სამხედრო უწ-
ყების სტენოგრაფისტი ქალიშვილი ენნი სმიტი,
იმ საბუთით, რომ ენნი სმიტი „არალოიალურად
არის განწყობილი ამერიკისადმი“. სმიტის „არა-
ლოიალობა“ თურმე იმაში გამოიხატა, რომ იგი
სადამოებით იმ კლასებს ამეცადინებს, რომლებ-
ნის მოწაფეთა უმრავლესობასაც ფერადკანია-
ნები შეადგენენ.

ახალი ანდაზები

1. კრიტიკოსი მაღალზე სტოდა და მინც დაბალ ღობეს ეძებდაო.
2. არტელი ბაბუს ზალტოს უკერავდა და შვილიშვილს უხაროდაო.
3. „დალაქო, ქახალი რადა ხარო“ და „ჩემს თმაზე ხალტურას მინც ვერ გავაქოთებდიო“.
4. „საქსილბოსტანი“ განა მარტო წნილს დაამუხავებსო.
5. „სამტრესტო, რად არ გაქვს მაჭარო“ და „გკონივარ უბრალო ვაჭარო“?

შეკრიბა ვიამ



ახალი ცათმბჯანი

„...ამ თვალსაზრისით ვახაგები ხდება თუ რატომ იქმნება დედამიწის ყველა ნაწილში ახალ-ახალი ამერიკული სამხედრო ბაზები, რატომ სურთ ამერიკის ხელისუფალთ იყოლიონ თავიანთი ჯარები ბევრ ქვეყანაში, რატომ ვაიბერა წელს ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი ომიანობის დროის ოდენობამდე და თერთმეტჯერ უფრო მეტია, ვიდრე იყო იგი მაგალითად, ომამდელ 1940 წელს“...

3. 8. მოლოტოვის მოხსენებიდან მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1948 წ. 6 ნოემბერს.

ცას ეწია ძია ხემი, ახალ ცათმბჯენს აშენებს, დოლარ-დოლარ, ატომ-ატომ... აწყობს, მკლავს არ ახვენებს.



— მიხედვით რა ქანა აღან ფილდინემ? საშუაერ დახმარდა ვალის დაბრუნებას და ხაზურვე მოხატუთ.
— არხად წაბოვცდენ, თორემ გარბათანებული ერების მომავალ სესხაზე წავაზე უკუთვე კახლდატხ ვერ მონახვენ!



— შეშდღვი სადღერტროლო იკუთვინის ბევის...
— ბივინი გარედ გაბრძანდა, ჩერჩილი იტყვის, რა ზახვაგებთა...



ბლთი სამხედრო მინისტრის „თავდაცვითი“ კონფერენცია.



მარჩილი — ახლავე აფეთქება, ბატონო, სწრაფად დასუკო-ნებლავ...
— ასე რატომ ჰყვირო, სერ, მაჟურნელი ძალიან ცოტაა, გააგონებენ!

საქციეობა დაბეჭე



— ვინ არის ეგ კაცი?
— ვერა ჰხედავ? თოხს კაცი გალახა და თითონვე ტირის—ვი-თოხლა შეწინაო, თავდაცვის სამინისტროდან იქნება!..

დამტებო

საჩუქრები

ამ დღეებში ერთ — უცნაო ოჯახში მოვიხილეთ...
ნოემბრის შვიდი გახლდათ. ის დღე, როცა ყველა ჩვენგან ზუსტ გუნებზეა. მასპინძელ ხალისსავით ბებრულებიანა მგელა. რამდენიმე სტუმარი წარს თამაშობდა. გასართობ ბებრულების სტუდენტო მოსვლდა და წამდაუწყო მათი მზარბოლო კისკისი იპრობობა ჩვენს ურდადლებას. ხარი და რეკეს. ოთახის კარი გაიღო და ახალი სტუმარი შემოვიდა.
— ოქტომბრულს გუშარჯუსი! — თქვა მან, მასპინძელს ხელი მართათ და ქალღმირი გახეულს ორალც ნივთი მიგაღებე დღით.
ყველაზე ახალაზრდა მასპინძელიაგანი, ასე ოცდაათოთიდე წლის ყმაწილი კაცი შთელი სხითი გაღმებული შეხება ტრუმპის და მადლობა გადაუხადა.
შეორე ახალი სტუმარი მოვიდა, მესამე, ყველაზე რალცა მითრანა ქალღმირი გახეული. მასპინძელს მთელიცა და ასე გასინჯეთ, გადამოკლანა კიდეთ.
— ეს რა მოაქვს ამ ხალხს? — ვეკითხები ჩემს მეგობარ სანდროს, რომელსაც ამ ოჯახში სრულიად შემთავებითი მიმოყვანი.
— საჩუქრები. ასეთი წესია ჩვენში, შენც ხომ იცი...
პასუხს ვერ მიხედილი და ახალი კითხვის მიცემას ვაპირებდი, მაგრამ მას პინძელმა მეგობარსან მივიხილი და ყველა სტუმარს თავისი ადგილი მიგვიჩინა თანადიდა ოუბნის ოფენა კაცი აირჩიეს და პირდაპირ ჩაის ჰქებებით და იწყო სტუდენტოსან დამწეობებება. პირველი სადღერტროლო იმ დღის მისს მართალი ზესიცა (კიდევ უნდა გვაცხებოთ: ნოემბრის შვიდი გახლდათ), თანამ დამ ახალი კიტე აიღო და დიოყვი...
— მეუბრებო, მე მინდა ჩვენი ოქტომბრის სადღერტროლო დავლიო...
თანადის ლაპარაკს დროებით მოწყვეტე უფრო და მეგობარს გადაიხეე ლაპარაკი:
— ქულან მინც ვერ გაივთე შენი პასუხი. დღეგანდელ დღეს საჩუქრები რა შეუშია?
— შენ თუ იცი, სადა ხარ? — კითხვივთე მიპასუხა სანდროს.
— რატომღაც არა, შენი წითესაგის ოჯახში.
— მეტივე ჩემი მამასინძელი რომ ოქტომბრელია, არ იცო?
— როგორ თუ ოქტომბრელი, ეგ ყმაწვილი ოცდაათი წლისა მინც იქნება!
— წლოვანებას რა მინწეწელობა აქვს, ეგ ყმაწვილი ოქტომბრის პარმეზოა და იმბოტო ველოცავთ ამ დღესასწაულს.

— თუ ასეა, ჩვენც ხომ ოქტომბრის პირმშობები ვართ, ეს დღეობა ხომ ჩვენთვისაც არის... დილას ჩემთანაც იყენენ სტუმრები, მაგრამ საჩუქარი არა-ვის მოუტანია.
სანდრომ გულიანად გაღიხარარა, თანადის შენიშვნის გამო ცოტა ხანს შეტრდა და წაშურტრდა:
— ოქტომბრეა ჩვეც ხომ მოვითრანა საჩუქრები?
— ძალიან ბევრი.
— მამ მეთო რალი ვინდა?
— მე სტუმრებზე გელაპარაკება, ამათ რატომ მოიტანენ საჩუქრები?
— ოქტომბრის დღეობაა და იმბოტო...
სულ დავიბენი. თავი უფვე მოვარად ჩავთვალ და საფეთქების სრესა დავიფეთ. სანდრომ ცოტა ხანს შეიურა, შემდეგ ყველა გულიანად გაღიხარარა, ახალაზრდა მასპინძლისგან თითო გიორგო და მითრანა:
— აგერ, იმ ვეჯიცე ხომ ჰხედავ?
— შეგინებია.
— დღეს მამას ოცდაათი წელი შესურულდა დაბადებულან, თანადის ვერ დასუკიორი მამის სადღერტროლოს რომ სტანს?
— მამის კი არა, ოქტომბრის სადღერტროლოს სუამს.
— მეოთე ვე ოქტომბრელი არ არის?
— რას დაძინებ?
— არაფერსაც არ დავცინი, ნოემბრის შვიდში დაიბადა და ოქტომბრის იმბოტო ევებიათ.
— მამას ხომ გივი ჰქვია!
— გივი მისი სახელია. ოქტომბრის კი მბოტო ვეწოღობთ, რომ ნოე-ბრის წიღში დაიბადა.
— საყრადღერო ამბავია.
— საყრადღერო ჩვენთვის კი არა გიოსთის უფროა. — მომიგო სანდროს.
— მამისთვის ოქტომბრის ყოველ დღესასწაულს დამატებითი საჩუქრები მოაქვს, რადგან შვიდი ნოემბრის არის დაბადებულო... წესის კი მას ოქტომბრეა ყვე-ლაზე დიდი საჩუქარი მოიპინანია... — თქვა სანდრომ და ვახეთი გადამიშალა. ამ გაბუნთი მოთავსებულო იყო დადგერილება კომპანებრულ მუშაეთა ორდღე-ბო დაჯლოღობის შეხაბებ.


მ. იხანოვიძის

კაპიტალისტური რემონტი



— ეს პრაპედერისტი, სერ, და გავფიქრინებდა!


სამეცნიერო ჟურნალი სოხუმისათვის



მკითხველს, ალბათ, ეუცხოება რომ, ამ ფელეტონის ავტორი სადღესასწაულო ნომრისთვისაც რაღაც ნაკლოვანებებს ეძებს. აქ საკვირველი არაფერია. ავტორი „ნიანგის“ უახლოესი მეგობარია და იგი ვერ გადაუხვევს თავის დანიშნულებას—ნაკლთა გამომზეურებას... ნაკლი—აი ჩვენი საკვები მასალა, ნაკლის მხილება—აი რა გვასულდგმულებს ჩვენ... ოქტომბრის დღესასწაულს, რაღა თქმა უნდა, მოგილოკეთ, მრავალსაც დაესწარით ცოლშვილით, მაგრამ ნაკლი—ნაკლია და ჩვენ მას დაუნდობლად გამოვამეღავნებთ.

მაშ ასე. თავდასხმის ობიექტად ვირჩევთ ქალაქ სოხუმს.

აი, ვზივარ დიხელ-მატარებელში. მიჰქრის მატარებელი სოხუმისაკენ, ჩვენს თვალწინ თავქუდმოვლეჯილი გარბიან მინდვრები, ტყეები, მდინარეები... ვიცქირებო უანჯრიდან. მესხიერებაში გროვდებიან რაღაც უკვე განცდილი, პოეტური გრძნობები... მიჰქრის მატარებელი, ჩაიქროლებენ ჩვენს თვალწინ სადგურის წარწერები: გრაკალი, კობიტნარი, კვლასური...



თავდასხმის ობიექტი ახლოა. მოვიმარჯვე ავტომატური საწერკალამი... თან ცუდმა წინაგრძობამ შემიპყრო. ვფიქრობ—რაღა ეს მშვენიერი ქალაქი ავირჩიე თავდასხმისათვის, სად ნახავ იქ ნაკლს! ძნელი საქმეა. მაგრამ მიყვარს სიძნელის გადალახვა. ჯერ ქალაქში არც ჩავსულვარ და უკვე უზარმაზარი ნაკლი მეგულება. შარშან რომ ვიყავი დავიხსომე, ასე მალე გამოსწორებას ვერ მოასწრებდნენ.

ეს ნაკლი მდგომარეობს შემდეგში: რკინიგზის სადგური სოხუმში მდებარეობს ცენტრიდან სამი კილომეტრის მანძილზე. თუ გინდათ მოხვდეთ სოხუმში, უნდა ვასცილდეთ მას 3 კილომეტრით და იქიდან დაბრუნდეთ ფეხით. ავტობუსში ადგილს ვერ იშოვით. ქალაქის მესვეურებს ეს ვერ მოუხერხებიათ, რომ რკინიგზის ბაქანი ააგონ, მაგალითად, ლენინის ქუჩის თავში, რათა მგზავრი უშუა-

ლოდ სოხუმში ჩამოვიდეს და არ გააკეთოს იძულებითი ექსკურსია სოჭის მიმართულებით.

ჩაუქროლეთ ლენინის ქუჩას.

ბიჭოს, ეს რა ამბავია!... მშვენიერი ბაქანი წამოუწყიათ. წამოუწყიათ კი არა დაუმათვრებიათ კიდევ. რის ბაქანი, ეს მშვენიერი პავილიონია... საშინელ გუნებაზე დავდექი. ჩავედი სოხუმში. რამდენიმე ავტობუსი თანმიმდევრობით ჩამოდვა და გააქანა მგზავრები ქალაქისაკენ. ამოდ მოუწოდებენ მგზავრებს „ხალტურისტი“ შოფრები და „მელინიკები“.

ჯიბრზე არ ჩავექეი ავტობუსში. ფეხით წამოვედი, მინდა ქალაქის ბაზარში შევიარო.

რა უგემოვნობაა! რა უნდა ქალაქის ცენტრში ბაზარი! ეს მხოლოდ აუშნოებს ქალაქს და მეტი არაფერი. ქალაქის მესვეურებს ის ვერ მოუფიქრებიათ, რომ ბაზარი თავისი ქინძითა და ოხრაბუშებით, გოჭებითა და ინდაურებით გადაიტანონ სადღაც სხვაგან, ხოლო აქ კი გაშენდებოდა მშვენიერი ბალი მარადმწვანე მცენარეებით... მაგრამ ეხ, ამას ხომ მოფიქრება უნდა! თავჩალუნული შევედი ბაზარში. მაგრამ ეს რა ამბავია! სად არის ბაზარი? არა, მე შევცდი, ეტყობა სხვა უბანში ვარ... მაგრამ ასეთი ლამაზი ბალი რომ არ მახსოვს? იქნებ სოხუმშიაც არ ვარ!.. და თუ სოხუმში ვარ ამ ადგილას აუცილებლად ბაზარი უნდა იყოს... სამი თვის წინათ ვიყავი—ბაზარი იყო. როგორ შეიძლება ასეთი ცვლილება—ასე მოკლე დროში! ამოდენა ბალის გაშენებას ხომ წლები უნდა!

—უკაცრავად,—ვეკითხები ბალში მოსვირნე მოქალაქეს,—ბაზარი სად არის?

—აქ იყო. ახლა გადატანილია. შორს არ არის... მშვენიერი ბაზარი ააშენეს.

—ხომ არ გეშლებათ, მოქალაქე!

—უკაცრავად, ეს ალბათ თქვენ გეშლებათ!—ეწყინა მოქალაქეს.

—თუ აქ ბაზარი იყო, პირდაპირ რომ რაღაცას აშენებდნენ, ის სადღაა!

—იქ რაღაცას კი არა, კინო-თეატრს აშენებდნენ. უკვე მზად გახლავთ!

გავიხედე პირდაპირ, მშვენიერი შენობაა წამოკიმული და უზარმაზარი აფიშები იუწყება კინოსურათის სახელწოდებას.

წამოვედი კვლავ თავჩაქინდრული. ქალაქის ბალში ვარ. რა ვრცელი და მშვენიერია ეს ბალი და რა მოუფიქრებლობაა ქა-

ლაქის მესვეურთა მხრივ, რომ აქ ერთი საზაფხულო ხეირიანი თეატრიც კი ვერ აუგიათ! ეს პირდაპირ სამარცხვინოა. ჩვენ შინაურები ვართ, მაგრამ რას იტყვიან სტუმრები—მოსკოველები, ლენინგრადელები, კიეველები და სხვები, რომლებიც ხშირი სტუმარი არიან ამ ცნობილ ზღვისპირა ქალაქისა!

მაგრამ მეშინია აქაც არ მოეტყუვდე. ვაი თუ ეს ნაკლიც გამოსწორებულა! ფრთხილად მიმოვავლებ თვალს გარშემო და ვხედავ ბალის ერთ კუთხეში, რკინიგზის ლიანდაგისკენ თვალისმომპრელ ულამაზეს შენობას... ხომ არ მომეჩვენა? შარშან არ იყო. ერთ წელში ამოდენას როგორ ააშენებდნენ! მიუუახლოვდი. ეს სწორედ საზაფხულო თეატრია მთასი კაცისათვის. თვალი უკეთესს ვერ ნახავს.

წამოვედი ლენინის ქუჩით. აგერ სახელმწიფო თეატრი. ამბობენ, აქ საქმე ვერ იყო კარგადო. იქნება ღმერთმა მომხედოს წელს უარესი იყოს... მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მკითხველო!... უარესი კი არა, ჩემს ჯიბრზე ისეთი შემოქმედებითი მუშაობაა გაჩაღებული, რომ ეუსურვეთ ყველა თეატრს.

ისევ დამარცხებული გამოვიდვარ თეატრიდან. მინდა ზღვას მაინც გადავყოლო გულის დარდები. უკვე ზღვის პირას ვარ. თითქოს ჯიბრზე დღეს ზღვაც რაღაც გასაოცარი დუმილით შემომცქერის და პაწაწინა ტალღებით ეალერსება მისდამი რწმუნებულ ნაპირებს.

და მე აღარ ვიცი რა დავსწერო სადღესასწაულო ნომრისათვის.

უჩინ-მარინი



ილუსტრაცია დონის

ნახ. ღონისა



— თქვენმა გამგემ გვმა შეასრულა? — გამგემ კი, მაგრამ სასადილომ ვერა...

მოლოტოვის რაიონი. დასვენების დღეა. მიდინართ პლენანოვის გამზირით, გინდათ ნაცნობ პარკში შეხვიდეთ, გუნდისა და კადრის ხეებქვეშ ჩამოჯდეთ და სუფთა პაერზე დაისვენოთ. აი, უახლოვდებით კიდევ გორკის სახელობის პარკს. მაგრამ... გაოცებული ჩერდებით: რა იქნა დიდი მწერლის სურათი, ან ელნათურებით განათებული დიდი წარწერა: „გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი“? მათ სანაცვლოდ რუსულად და ქართულად უხარმაზარი აბრა გატყობინებთ, რომ აქ ყოველდღე, დღისით და ღამით იყიდება ხაში! ხაშიც კარგი საქმეა, ამბობენ უხდება ნამთვრალევე კაცსო. მთვრალსაც ხომ უნდა დასვენება, კულტურული დასვენება ხაშით და დუღუკით! პირველი შთაბეჭდილებით ოდნავ შეშფოთებული მინც შედინხართ პარკში. შორიდანვე ისეთი ხმაური მოგესმის, გვეგონება სოფლის სამკედლოში შეხვედი. მაგრამ სამკედლოს აქ რა უნდა, ან სოფელი რა შუაშია. აგერ თქვენ თვალწინ ჩამწკრივებულან უახლესი მარკის მანქანები. იფიქრებთ, ალბათ დამსვენებლებს უცდიანო... მაგრამ კიდევ ახალი აღმოჩენა: უხარმაზარი „სტუდენტეკრები“ და „ზისები“ დგანან ორმოებზე, ქვემოდ შოფერები შედგომიან და გაულის ჩაქუჩებს რახარუხი, ისმის ცხრასართულიანი ლანძღვა-გინება. გაოცებული უვლი გვერდს ამ უცნაურ გარაჟს თუ სარემონტო სახელოსნოს. მიდინარ გაზონებისკენ, მაგრამ სადღაა გაზონები! ექვნიშებმული ცხვრები დაბაკუნობენ ძირში გადაქმულ მწვანეზე და არხეინად ხოხნიან ოდესღაც მობიბინე მდელის ნაშთებს. აგერ, აუზები! წყალი ისევ ძველებურად სჩქეფს შადრევნებიდან, მაგრამ აუზებში სიბინძურე გამეფებულა და ღამღამ ზოგჯერ ბაყაყების კონცერტიც ისმის. კონცერტმა გაგვახსენა, ბალის ორი საესტრადო პავილიონი ისე გაოხრებულა და გაპარტახებულა, შიგ ბელურაც ვეღარ ბედავს თავის შეფარებას, თორემ სიმღერა და მუსიკა ხომ კარგი ხანია აქაურობას აღარ სმენია! ვისია ეს მანქანები? ვისია აშვებული ცხვრები? ვისია ბალში გამართული სახაშე? და ბოლოს, ვისია ეს გაპარტახებული პარკი? იქნებ მოლოტოვის რაისაბჭომ ინებოს პასუხის გაცემა.

გარათები ნიანგს

კვირასო ნიანგო!

ამხანაგო ნიანგო!

გასულ ახალწელიწადს (დაესწართ მრავალს მომავალსაც) გამიწყრა კავშირ-გაზმულობის თეთრიწყაროს რაიკანტორის უფროსის ისაკი ბოთერაშვილის „სალოცავი ხატი“ და გამოვიწვიე უურნალი „ნიანგი“. სატირული უურნალის გამოწვივამ სატირალი დამმართა. პირველ თვეს რომ ვერ მივიღე! უურნალი, ვიფიქრე: ბედი არ მაქვს-თქო, მეორე თვეს დავასკვენი, რომ არც იღბალი მქონია. შემდეგში აშკარად დამტკიცდა, რომ უყისმათოც გყოფილვარ. ნელ-თბილ ზამთრის შემდეგ თბილმა გაზაფხულმაც გაიარა, ცხელი გაზაფხულიც წავიდა ისე, რომ „ნიანგის“ ვერც ერთ ნომერს ვერ ველირსე. შემოდგომაზე აგრძელდა და მივიღე ერთადერთი, მეთხუმეტიე ნომერი (ალბათ, სიგრილემ იმოქმედა), ეს იყო და ეს. ხუთსტრიქონიანი არზა მივართვი ამხ. ბოთერაშვილს, რომელმაც, სანამ ჩაეძინებოდა, სამი სტრიქონის რეჩიტატივით ჩაკითხვა მოასწრო. გამოიღვიძა თუ არა, შევატყე უნდა ეთქვა: — აქ საფოსტო განყოფილებაა, ამხანაგო, ნიანგები და სელაპები ზოპარკში იკითხეო. მაგრამ თავი შეიკავა და მითხრა: — შე კაი კაცო, ისე რამ შეგაცყვარა ხუმრობა, რომ მთელი წელიწადი მაგ საქმეზე დადინარო? როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს ქურდობის ახალ ფორმასთან. კანტორის „თლა უფროსი“ ბოთერაშვილი, როგორც თვითონ აცხადებს, ძალიან ცდილობს მიმთვისების აღმოჩენას. მოეხმარე ნიანგო, და დაჩანგლე დამნაშავე, მისთვისაც მადლია და ჩემთვისაც. ესეც არის: თუ კავშირგაბმულობის თეთრიწყაროს კანტორის თანამშრომლებმა თავის თავი ნახეს „ნიანგში“, მე კი არა, მგონია, აღარც სხვა ხელისშომწვრლებს გაუგზავნონ უურნალი.

საჯავახოლებს ხშირად შემოგენატრიან: — რა გიჭირთ, მშენიერი კლუბ-სამკითხველო გაქვთ, კულტურულად წინა ხართო. ეს მართალია. სწორია ისიც, რომ ჩვენს კლუბ-სამკითხველოს გამგეც ყავს და ბიბლიოთეკარიც. ამ ორი მუშაკის წყალობით, მართლაც რომ წინ უნდა მიდიოდეს ჩვენს სოფელში კულტმუშაობა. მაგრამ არის ერთი „მაგრამი“, რომელსაც ჩვენი კლუბ-სამკითხველო კიბოსავით უკან მიჰყავს: კლუბის გამგეს თ. გოგუას თავისი პირდაპირი მოვალეობის შესასრულებლად არ სცალიან: იგი შეთავსებით ჩოხატაურის „სოიუზტრანსის“ სალაროს გამგეც გახლავთ. ამ „სალაროს“ კი ცალკე სალარო არა აქვს და გოგუას პირდაპირ სადგურად აქვს გადაქცეული ჩვენი სამკითხველო. უურნალ-გაზეთების წასაკითხად შემოსულთა სკამები და მაგიდები მუდმივად უკავიათ „სოიუზტრანსის“ მგზავრებს და მათ ბარგს. არის ერთი ჩოჩქოლი, ბავშვების ტირილი და ჟრიაშული. საღამომობით კი აქ, როგორც გვსმენია, ხშირად შეუფერებელ „გასართობს“ წააწყდებით: ისმის ბოთლებისა და ჭიქების წკრიალი, ან ბანქო იშლებს. ამხანაგო ნიანგო! ორიოდ სიტყვა შეგვაწიე, რომ ჩვენს კლუბ-სამკითხველოში კულტმუშაობა მართლაც კულტურულ საფეხურზე დააყენონ.

პატივისცემული ნიანგო!

სამგორის მშენებლობაზე ვმუშაობ. ორმოცი წლის კაცი გავხდე და მე მგონი უხეობათ არ ჩამითვლით, რომ თუთუნს ვწევ. ვწევ თუთუნს და ყველაზე მეტად ვეტანები ჩვენი მშენებლობის სახელობის პაპიროსს „სამგორს“. ვყიდულობ ამ პაპიროსს. ვსნი კოლოფს და მიკვირს: პაპიროსების ორმოცდაათ პროცენტში თუთუნია არ არის, ცარიელი ჰილზებია. თამბაქოს-პირველი ქარხანა შეიძლება ამას იმტომ სჩადის, რომ ხალხი პაპიროსის წევას გადააჩივოს, მაგრამ ასეთი საქციელით სამგორის მშენებლებს სახელს მაინც გვიტყვის. ესეც რომ არ იყოს, პაპიროსები რომ ცარიელდება, ჯიბე ხომ არავისი ივსება?

იოთამ წახარძე

სამგორელი

ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება


განსვენებულ პრეზიდენტ რუზველტს ქერივი ვლენორო რუზველტი ახალი ომის გამჩალებელთა კარნახით, აღვირახსნილ აგიტაციას ეწვევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და მოითხოვს ატონის იარაღის გამოყენებას.

გაზეთებიდან

ელენორა რუზველტი (თავისუფლების ქანდაკებას) — პათევცემულო მისს, თუ გინდა რომ დარჩე დემოკრატიულ კვარცხლბეკზე, მაგ ლამპარის მაგიერ ეს საგანი აიღე და სტუორცნე დემოკრატიულ ქვეყნებს.

— განა ეგ ეთანხმება პრეზიდენტ რუზველტის ანდერძს?

— არა, მაგრამ სამაგიეროდ უოლ-სტრისტის ზრახვებს ეთანხმება.



ხარედავტიო კოლეგია: ი. გრიზაუვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. შაშლიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1948 წ. 9/XI. ტექსტი აწუობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შვკ. № 1533. ლენინის ქ. № 28. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე. შვკ. № 2054. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 116, ტირ. 7600 უფ 14943.